

ქალაქ ქუთაისში, ცხინვალის ქუჩა მე-3 შესახვევი N3 საცხოვრებელი სახლის  
N8 ბინაზე, მოქალაქე ლევან მანაგაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქე ლევან მანაგაძის განცხადება /2011 წლის 15.09 Nმ-7394/, რითაც ითხოვს ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, ცხინვალის ქუჩა მე-3 შესახვევი N3 საცხოვრებელი სახლის N8 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ცხინვალის ქუჩა მე-3 შესახვევი N3 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლევან მანაგაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ცხინვალის ქუჩა მე-3 შესახვევი N3 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე /საერთო ფართობი 28,71 კვ.მ./ მოქალაქე ლევან მანაგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე